



MES 5 22 0000148049



15/02/2022

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 4 თებერვალი**.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

**გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

**ბორის ლეჟავა** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით;

**დავით ბოსტოლანაშვილი** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

**ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**იური მღებრიშვილი** - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

**აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;

**ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მორის შალიკაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**მარინა ქორიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;

**ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნიკოლოზ ფარჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ინანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**დავით ბურჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ირმა შიოშვილი - უნივერსიტეტის რექტორი;

მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ნუნუ გელდიაშვილი - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

მანანა კველიშვილი - აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თამარ ასლანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;

ნინო მოდებაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი;  
თარაშ გიორგაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;  
შალვა ჭკადუა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:

ნაილა ჩელებაძე - პროფესორი, პრორექტორი;

ელზა ფუკარაძე - პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

სამონაზვნე ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

თემურ ტუნაძე - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მზია შავაძე - სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტის დეკანი, იურისტი;

ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

სონია ჩეჩელაშვილი - აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;

ინგა ზოიძე - სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ავთანდილ დიასამიძე - პროფესორი;

როინ მაღაყმაძე - პროფესორი;

მარიამ დიდებულიძე - პროფესორი;

თალიკო ბერიძე - პროფესორი;

ტარიელ ებრალიძე - პროფესორი;

რაჟდენ ფუტყარაძე - პროფესორი;

აკაკი ზოიძე - პროფესორი;

მედეა რიჟვაძე - პროფესორი;

იაშა თანდილავა - პროფესორი;

ნანა ჯაბნიძე - პროფესორი;

ედუარდ მიქელაძე - პროფესორი;

გივი ჭუმბურიძე - პროფესორი;

ლევან ხალვაში - პროფესორი;

თამილა არდემანაშვილი - პროფესორი;

ბესიკ ბაუჩაძე - პროფესორი;

ლია ბერიძე - პროფესორი;

ლელა ჯახაია - ასოცირებული პროფესორი;

სულხან ალექსაია - ასოცირებული პროფესორი;

ნაილე მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი;

ლელა კუკულაძე - ასოცირებული პროფესორი;

ნესტან მამუჭაძე - ასოცირებული პროფესორი;

ოლეგ ჯიბაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

გურანდა კუკულაძე - ასოცირებული პროფესორი;

თეა თავბერიძე - ასოცირებული პროფესორი;

ეთერ დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი;

მადონა კეჭერაძე - ასოცირებული პროფესორი;

მირანდა გორგილაძე - ასოცირებული პროფესორი;

ნინო ძნელაძე - ასოცირებული პროფესორი;

ლაშა ბერიძე - ასოცირებული პროფესორი;

რომან აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი;

ხათუნა ხალვაში - ასოცირებული პროფესორი;

ნარგის სურმანიძე - ასოცირებული პროფესორი;

თამარ ორაგველიძე - ასოცირებული პროფესორი;  
სოსლან სურმანიძე - ასისტენტი;  
ია შალამბერიძე - იურისტი;  
თამილა დავითაძე - მოწვეული ლექტორი;  
თამილა ჩურკვეიძე - ინგლისურის ენის ლექტორი;  
ნანა ჟიჟავაძე - ინგლისურის ენის ლექტორი;  
ლილი დოლიძე - ინგლისურის ენის ლექტორი;  
ეკატერინე გელენიძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი;  
გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე.

4 – 5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:

ნათია ქაჯაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;  
მარინე შავლაყაძე - თჰუ-ს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;  
მარიამ დარბაიძე - რექტორის მრჩეველი;  
ქეთევან ცერცვაძე - საერთაშორისო სამსახურის უფროსი;  
ნიკა დუდაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;  
ნინო აბაიშვილი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  
ილონა საყვარელიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; დეკანი;  
მარიამ გოგიბერიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  
მაია გონაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი- ექსპერტები:  
გიგა ხოსიტაშვილი;  
ეკატერინე ბაკარაძე;  
ეკა გეგეშიძე ;  
ზაზა ცოტნიაშვილი.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი- ექსპერტები:

ეკატერინე ბაკარაძე;  
ია მოსაშვილი;  
ია ნაცვლიშვილი;  
სალომე ძაგნიძე.

4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი- ექსპერტები:  
ვლადიმერ მარგველაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა.

#### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, დავით ბურჯანაძემ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. დავით ბურჯანაძემ მიმართა საბჭოს წევრებს პირველ საკითხად განეხილათ - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხი, რომლის წარმოება დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

#### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა.

**1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ საკითხის განხილვა;**

**15:07 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ეკა ეკალაძე და ლელა სალაყაია.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა, სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, საბჭოს წევრებისათვის წარმოედგინა შუამდგომლობა.**

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, დავით ბურჯანაძემ განაცხადა, რომ რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, 2021 წლის 9 აგვისტოს, დაფიქსირდა ილია კველიშვილის განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის № 781362) რომლებიც შეეხებოდა შპს თბილისი თავისუფალი უნივერსიტეტთან მიმართებით დაკავშირებულ გარკვეულ გარემოებებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ილია კველიშვილს თავის ნაშრომში დაუდგინდა პლაგიატი, რის გამოც შესაბამის საგანში მიიღო შეფასება "F" (Fail - ვერ ჩააბარა), აღნიშნულის შესახებ კი წერილობითი ინფორმაცია არ მიუღია სტუდენტს, ამავდროულად მას შეუჩერდა სტატუსი. ასევე, განცხადებაში ავტორი საუბრობს რიგ პრობლემებზე, რომლებიც მისი სწავლის პერიოდში დაფიქსირდა - იგი აღნიშნავს, რომ მას არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო 2 კვირიან გაცნობით ტურში, ასევე, არ ჰქონდა წვდომა ელექტრონულ სისტემაზე და კამპუსში შესასვლელ საშვზე, აღნიშნულმა ხელი შეუშალა მის სასწავლო პროცესში ინტეგრირებას, ამავდროულად, საგამოცდო პერიოდში ვერ უზრუნველყოფდა თავის ჯგუფთან ერთად გამოცდებზე გასვლას. ცენტრის წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრმა მიმართა განმცხადებელს წარმოედგინა დამატებითი მტკიცებულებები და დოკუმენტები თუმცა განმცხადებელთან კომუნიკაცია ვერ შედგა.

მიუხედავად აღნიშნულისა, განმცხადებლის მეორე წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით, ცენტრმა მიმართა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს წერილით და გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია და საჭირო მასალები. ინსტიტუციის პასუხის მიღების შემდგომ ცენტრმა ორჯერ მიმართა განმცხადებელს წარმოედგინა თავისი პოზიცია და შესაბამისი დოკუმენტები, თუმცა განმცხადებელს თავისი პოზიცია არ წარმოუდგენია.

გარემოებათა გამოკვლევის შედეგად, ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ფიქსირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების კომპონენტების დარღვევის შესაძლო ფაქტი. შესაბამისად ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შეწყვეტილიყო მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:10**

**საბჭოს სხდომა განახლდა : 15:15**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრისშედეგი:**

**გადაწყვეტილება:**

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების, 103 - ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (COM Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

სხდომის წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, 2021 წლის 18

ნომბერს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2018 წლის გეგმიური ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობისას ავტორიზაციის საბჭომ გასცა რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიმართ და რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა კანონით დადგენილი ვადები. რეკომენდაციები შეეხებოდა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტანდარტებს. საერთო ჯამში გაცემული იყო 37 რეკომენდაცია. პანდემიის პირობების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა შერეული ფორმატით. კერძოდ, პირველ დეკემბერს განხორციელდა ადგილზე ვიზიტი მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ერთი წევრი მივლენილი იქნა ადგილზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელთან ერთად, ხოლო ჯგუფის სხვა წევრები დისტანციურ რეჟიმში აკვირდებოდნენ აღნიშნულს პროცესს. ვიზიტის მეორე და მესამე დღე - 2-3 დეკემბერს ჩატარდა ინტერვიუები სრულად ონლაინ ფორმატში. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის მენეჯმენტს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტაცია, რომელიც ვადების დაცვით წარმოადგინა ინსტიტუციამ. საერთო ჯამში ვიზიტმა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში ჩაირა. 2022 წლის 25 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილ დასკვნაზე მიიღო დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების პოზიცია კონკრეტულ რეკომენდაციებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია ასევე დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი. პირველ სტანდარტთა დაკავშირებით რეკომენდაციები არ იყო წარმოდგენილი, რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, რეკომენდაცია ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი განახლდა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეტალურად და კონკრეტულად გაიწერა 2020-2025 წლებისთვის დაგეგმილი აქტივობები. მოცემულ ეტაპზე თესა-ში 9 მიმდინარე ინსტიტუციური განვითარების, 2 შავი ზღვის აუზის, 1 USAID და 18 KA107 მობილობის პროექტი ხორციელდებოდა, მაღალი იყო ასევე ცალკეული პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებში.

მე-2 სტანდარტში რეკომენდაციები ასევე შეეხებოდა სწავლების სისტემებს, აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებული იქნა დაწესებულების მიერ. განათლების მართვის ავტომატიზებული სისტემა ([aems.tesau.edu.ge](http://aems.tesau.edu.ge)) მოიცავს: ფაკულტეტის (ადმინისტრაციის), ლექტორისა და სტუდენტის პორტალს, რომელსაც, ელექტრონული სერვისების განვითარების გეგმის შესაბამისად, დაემატა შესაბამისი ფუნქციები. დამატებით, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული განვითარების მექანიზმების დოკუმენტში გაწერილია განათლების მართვის ავტომატიზებული სისტემის განვითარების აქტივობები შესაბამისი ვადის მითითებით. ამასთან, დაწესებულებამ დანერგა ონლაინ გამოკითხვის ფორმა, რისთვისაც იყენებს “Google forms” პლატფორმას. დამატებით, AEMS-ის პორტალზე უკვე მოხდა გამოკითხვის რამდენიმე ფორმის ინტეგრირება, რაც ამარტივებს გამოკითხვის ფორმაზე წვდომისა და ჩართულობის პროცესს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვას გამოკითხვის პროცესში.

რაც შეეხება პლაგიატსა და აკადემიური წერის პრინციპებს, უნივერსიტეტმა შეიმუშავა პლაგიატის გამოვლენისა და რეაგირების წესი, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებსა და რეაგირების პროცედურებს. დოკუმენტში წარმოდგენილია დაწესებულების მიზანი, თუ რა მექანიზმებით უწყობს ხელს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის დაცვას,



საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად. პლაგიატის გამოვლენის მიზნით დაწესებულებაში დანერგილია პროგრამა TURNITIN.

მნიშვნელოვანია ასევე დამსაქმებლებთან კომუნიკაციის საკითხი, კერძოდ უნივერსიტეტი თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან ძირითადად ორი გზით: პროგრამის შემუშავების ან მოდიფიკაციის ეტაპზე ითვალისწინებდა დამსაქმებლის წინადადებებს, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროგრამის განხორციელების ეტაპზე იწვევდა პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტებს. სასწავლო პროგრამებში პრაქტიკოსი პირების ინტეგრირების გზით, პროგრამებში პერიოდულად ხორციელდებოდა ცვლილებები, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება, პრაქტიკის გაძლიერების საკითხს, პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა ცვლილება შეიტანა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაზრდის, ან სასწავლო კურსებში პრაქტიკის ნაწილი გაზრდისთვის. მაგ. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მეტი დრო გაატარონ პრაქტიკის ობიექტზე; ბიოლოგიის სასწავლო პროგრამაში, ლაბორატორიული სამუშაოების მიმართულებით გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობა.

ამასთან, დაწესებულების მიერ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედრდა სტუდენტებს და ასევე, აკადემიურ პერსონალს - პროგრამის ხელმძღვანელებს, სადაც აღნიშნული გარემოების გადამოწმება მოხდა. უნივერსიტეტი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში მისაღებ გამოცდათ განსაზღვრავს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, ამ მიზნით თავად უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას იმ აპლიკანტებისთვის, ვისაც მიმდინარე ეტაპზე არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული, ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერთიფიკატი.

რაც შეეხება მე-4 სტანდარტს რეკომენდაცია ძირითადად შეეხებოდა აკადემიური პერსონალის განვითარების კუთხით არსებულ აქტივობებს. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების ფარგლებში, ცალკეული პროგრამების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება შესაბამის დარგში პროფესიონალი კადრების მოწვევა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან. პრაქტიკული აქტივობების დანერგვა და სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური პოზიციების დაკავება დოქტორის ხარისხის მქონე პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი სწავლის პროცესშივე ინტეგრირდეს თეორიულ სწავლებასთან.

მე-5 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებით გაეცნო აღნიშნული სისტემის მუშაობის პრინციპს, როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტის მხრიდან არსებულ შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ფუნქციის გააქტიურება ამჟამად მიმდინარეობს, ფუნქციები მოქმედებს, თუმცა სასურველია ამ მიმართულებით ნაბიჯები უფრო აქტიურად გადაიდგეს. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ქვეშ შეიქმნა სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქციად განისაზღვრა სტუდენტების კონსულტირება დასაქმებასთან მიმართებაში. ვიზიტის დროს ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა აღნიშნული ერთეულის მუშაობის პოზიტიური შედეგები.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-6 სტანდარტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა აკადემიური პერსონალის და მკვლევარების ინფორმირებას არსებული შესაძლებლობების კუთხით, ასევე მათ დაკავშირებას რეგიონში არსებულ ორგანიზაციებთან, სადაც შეიძლება პრაქტიკული კვლევების განხორციელება. უნივერსიტეტში არსებობდა სამაგისტრო და სადოქტორო დებულება, რომელიც განსაზღვრავდა აკადემიური სტილის საკითხებს. აღნიშნული რეგულირდება ამ დოკუმენტებით და მისი კომუნიკაცია განისაზღვრება უშუალოდ ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის სამსახურის ვალდებულებად.

დაწესებულების მიერ ნაწილობრივ არის შესრულებული ეთიკური კვლევების საკითხი, კერძოდ უნივერსიტეტი პუბლიკაციების ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენებს პროგრამას Turnitin, რომელიც ადგენს ტექსტის ორიგინალობას. უნივერსიტეტი განსაზღვრავს აკადემიურ სტილს, თუმცა როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა სტუდენტებისთვის არ არსებობს დამატებითი სერვისები ამ მიმართულებით. კვლევის ეთიკის საკითხები არ შედის ეთიკის კომისიის პასუხისმგებლობაში და ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს მუშაობა.

რაც შეეხება მე-7 სტანდარტს, უსდ-მ მოახდინა ძირითადი შენობების სრული რეაბილიტაცია, ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ყველა სასწავლო დანიშნულების შენობა ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ამასთან, ბიბლიოთეკაში მოეწყო სივრცეები სტუდენტებისათვის, დაემატა კომპიუტერები და აღჭურვილობა. ასევე, ბიბლიოთეკიდან სტუდენტებს აქვს მრავალფეროვან სამეცნიერო ნაშრომებთან წვდომა.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების რექტორმა, ირმა შიოშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ აშკარა იყო ექსპერტთა ორიენტირი უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლასა და განვითარებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია ასევე რეგიონის განვითარებაზე და ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ქარხნებთან, საწარმოებთან და ადგილობრივ თვითმართვებლობასთან.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტი აგრძელებდა მუშაობას ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწისა და განვითარებისთვის, რათა შექმნილიყო უფრო ეფექტიანი და მოქნილი მართვის სისტემა, რაც გააძლიერებდა შიდა კონტროლის მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, უკვე დაწყებული იყო პროცესი შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

რაც შეეხება მიზნებისა და შედეგების შესაბამისობას, უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს აღნიშნული საკითხების უზრუნველყოფას განახლებადი საბიბლიოთეკო რესურსებით, პერსონალის ინფორმირებით საგანმანათლებლო და აკადემიურ სივრცეში მიმდინარე სიახლეების შესახებ. აკრედიტაციიდან აკრედიტაციამდე ეს პროცესები უმჯობესდება. უნივერსიტეტი ყოველთვის ითვალისწინებდა გარე შეფასების პროცესიდან მიღებულ შედეგს და ცდილობს ის დინამიური განვითარების ჭრილში ასახოს, პროგრამების გაძლიერების მიზნით. აქედან გამომდინარე, მიღებული რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამაგისტრო ნაშრომის/სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, სასწავლო კურსების - აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების - ლექტორები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად უწევდნენ კონსულტაციებს სტუდენტებს, განიხილებოდა დეპარტამენტებში კომპეტენტური პირების გამოყოფის საკითხი, რომლებიც აღნიშნულ სერვისს დამატებით განახორციელებდნენ. 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი იყო ტრენინგი სტუდენტებისთვის, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მსგავსი ტრენინგები უნივერსიტეტში პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

რაც შეეხება ეთიკის კომისიას, კვლევის კულტურის მაღალ დონეზე დანერგვა აკადემიური კეთილსინდისიერების კუთხით და ზოგადად, ეთიკის ნორმებთან მიმართებით, უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეხილათ უნივერსიტეტის პროგრესი ამ კუთხით. აღნიშნული საკითხი მომავალში კიდევ უფრო აქტუალური გახდება და განიხილება უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტის უფლებების გაფართოება ამ მიმართულებით.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:43 საათი**  
**საბჭოს სხდომა განახლდა: 15:46 საათი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მ ო მ ხ რ ე :

1 4

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (COM Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 23 სექტემბრის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე შედგა ექსპერტთა ჯგუფი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის საშუალებით 2021 წლის 16 და 17 ოქტომბერს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მასალებს და გარკვეული საკითხები დააზუსტა ინტერვიუების საშუალებით, ისევე, როგორც გამოითხოვა დამატებით მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტისგან ყველა დამატებითი მასალა მოწოდებულ იქნა დროულად. ყველა ამ კომუნიკაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა და წარმოადგინა დასკვნა. სამუშაო პროცესი და შეხვედრები წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში. ექსპერტთა მიერ შეფასდა უსდ-ების ავტორიზაციის ყველა სტანდარტი, რაზეც გაცემული იყო რეკომენდაციები და ასევე შეფასდა მათთან დაკავშირებული საკითხები ბოლო საანგარიშო პერიოდში, რის საფუძველზეც გაკეთდა შეფასება. 2021 წლის 17 დეკემბერს ცვლილება შევიდა ა(ა)იპ საქართველოს წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ ბრძანებაში და ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2021 წლის 4 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ასახული გარემოებების უსდ-ების სტანდარტებთან მიმართებით დისტანციურად შეფასება. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით განიხილა პროფესიული ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა და დაკავშირებული მასალები, რის შემდეგაც ცვლილებები განიცადა მანამდე წარმოდგენილმა დასკვნამ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ დაგვიანებით მიაწოდა ექსპერტებს ინფორმაცია რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ და მისი შედარება ფაქტობრივ მონაცემებთან ვერ მოხერხდა.

## 16:05 საათზე საბჭო დატოვა ლელა სალაყაიამ.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სტანდარტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი სრულად შესაბამისობაში იყო შეფასების შედეგად. რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, გაცემული იყო ჯამში 11 რეკომენდაცია, საიდანაც ექვსი სრულად იქნა შესრულებული დაწესებულების მიერ დანარჩენი კი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სტრუქტურის ნაწილში არსებული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, კერძოდ მმართველი საბჭოების წევრების დაკომპლექტება ხორციელდება დანიშნით. დაწესებულებამ შეიმუშავა საკვალიფიკაციო მოთხოვნები საბჭოების წევრობის კანდიდატების მიმართ. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მმართველი საბჭოების წევრებით დაკომპლექტება განხორციელდეს არჩევის წესით. რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს, ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციები აისახა მარეგულირებელ დოკუმენტში, ადმინისტრაციის შემადგენლობა გაიზარდა „ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის“ სახით. ამ ეტაპზე, ადამიანური რესურსების მართვის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ვერ მოხერხდა.

ნაწილობრივ იქნა ასევე შესრულებული რეკომენდაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უნივერსიტეტს შეძენილი აქვს დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა და ემზადება მის გასაშვებად.

ნაწილობრივ იქნა შესრულებული რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაწესებულებამ უნდა გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, რომლებიც იქნება ქმედითი და სტუდენტებსა და (აკადემიურ /ადმინისტრაციულ) პერსონალს ექნება ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის უფრო მეტი შესაძლებლობა.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა დაწეროს საინფორმაციო რესურსები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანად განსახორციელებლად.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ 3.1 კომპონენტთან მიმართებით, წინა ავტორიზაციის ექსპერტებს არ ჰქონდათ განსაზღვრული რეკომენდაციები, თუმცა გამოთქმული იყო გარკვეული რჩევები, რაც ერთიანად ასახული იქნა მე-3 სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციების სახით. მნიშვნელოვანია, რომ წინა ავტორიზაციიდან დღემდე მიღებული იქნა ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო და გაჩნდა ვალდებულება, რომ პროგრამები ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოსულიყო დროის გარკვეულ პერიოდში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დაწესებულებას უკვე დაწყებული ჰქონდა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობისთვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელება, თუმცა პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული და შესაბამისად დაწესებულებას ჰქონდა გეგმა თუ რა ვადებში უნდა მომხდარიყო ცვლილებების შეტანა. კიდევ ერთი თავისებურება პროგრამებთან დაკავშირებით იყო ის, რომ პროგრამა მოქმედებდა არა აკრედიტებულ რეჟიმში. იქიდან გამომდინარე, რა ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობა სრულად არ მომხდარა, 3.2 კომპონენტთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციები შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესრულებული.

რაც შეეხება 3.3 კომპონენტს დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული წინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ძირითადი აქცენტი გაკეთდა სწავლის შედეგების მოდიფიცირებაზე. დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 69/ნ ბრძანების შესაბამისად კვალიფიკაციის ახალი ეროვნული ჩარჩოსა და სწავლების კლასიფიკატორის მიხედვით აკადემიური პერსონალის ჩართულობით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება პროგრამის სწავლის შედეგების სამი მიმართულებით და პროცესი საჭიროებდა დასრულებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შეაფასა პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სტანდარტთან მიმართებით გაცემული იქნა ხუთი რეკომენდაცია, რომელთა უმრავლესობა სრულად იქნა შესრულებული. პირველი რეკომენდაცია გულისხმობდა ინდიკატორების განსაზღვრას პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად არსებული 0-5 ქულიანი შეფასების სქემისათვის, რაც სრულად იქნა შესრულებული უნივერსიტეტის მიერ. რაც შეეხება პერსონალის წახალისების დეტალურ პრინციპებს, შინაგანაწესი გაწერილი იყო, თუმცა მისი ამოქმედება ჯერ არ მომხდარა. ნაწილობრივ იქნა ასევე შესრულებული რეკომენდაცია წარმომადგენლობასა და არჩევითობასთან დაკავშირებით, კერძოდ სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი იყო, თუმცა მათი არჩევა - არა.

მნიშვნელოვანია ასევე ექსპერტთა მიერ მე-5 სტანდარტის შეფასება, კერძოდ ექსპერტების მიერ განსაზღვრული იქნა რეკომენდაცია სტუდენტური თვითმართველობის შექმნასთან და საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია განსაზღვრული იქნა იმის საფუძველზე, რომ უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმართველობა არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, 5.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამის მოთხოვნებთან.

რაც შეეხება 5.2 კომპონენტს, რეკომენდაცია ეხებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით გაძლიერებას, რაც მოიცავდა სტუდენტურ გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობას.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტთან მიმართებით განსაზღვრული ჰქონდა ათი რეკომენდაცია, საიდანაც ექვსი სრულად იქნა შესრულებული დაწესებულების მხრიდან, ოთხი კი ნაწილობრივ, რაც ნიშნავს, რომ დაწესებულება ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები გადადგმული აღნიშნული მიმართულებით, თუმცა პროცესი არ იყო დასრულებული.

რაც შეეხება მე-7 სტანდარტს, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს საკმაოდ ბევრი ჰქონდა გაკეთებული და ექსპერტების მიერ შეფასების შემდგომ საკმაოდ დიდი ცვლილებები იქნა განხორციელებული. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე აკეთებს დასკვნებს, თუმცა გამოიკვეთა დამატებითი გარემოება, რაც ასევე აღწერილია ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნაში, კერძოდ, 2012 წლის 24 ივლისის ხელშეკრულების თანახმად 10 წლის ვადით ფლობს ქონებაზე თხოვების ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულ საავტორიზაციო პერიოდში, ის ვერ უზრუნველყოფს სწავლებას შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ექსპერტთა ჯგუფმა ონლაინ რეჟიმში დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. უნივერსიტეტის მხოლოდ ერთი კორპუსი აღჭურვილია დასაკეცი პანდუსებით, ეს არის ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი შენობა. ამავე შენობის პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო. ბიბლიოთეკაში საპირფარეშოს კარის სივიწროვის გამო ვერ მოხერხდა მისი ადაპტირება. მას შემდეგ, რაც მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გაცნობა, რომელთა პირისპირ ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აღნიშნული ასაკეცი პანდუსი ვერ ფარავდა კიბის მონაკვეთს სრულად, ასევე, მესამე სართულზე ასასვლელ

კიბეზე პანდუსი საერთოდ არ იყო, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა, ეს აღენიშნა მოცემულ დასკვნაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ვირტუალური ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა ადაპტირებული სველი წერტილები. ისინი იყო ადმინისტრაციის კორპუსში, სადაც ასევე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს და საერთო საცხოვრებელში. თუმცა ის ფაქტი, რომ კიბეების არასრულად ადაპტირების გამო სველ წერტილებამდე მისვლა შეუძლებელი იქნება, ამ საკითხს ტოვებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

რაც შეეხება ცენტრალურ გათბობის სისტემებს, ისინი მხოლოდ რამდენიმე კორპუსში იყო დამონტაჟებული, ასევე არ გვხვდებოდა ბიბლიოთეკაში. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მე-7 სტანდარტი შეფასებული იქნა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, თემურ თუნაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების სამსახური ცალკე გამოეყო, მანამდე ის ადმინისტრაციის შემადგენლობაში განიხილებოდა. მნიშვნელოვანია რომ ასევე შედგა მოცემული სამსახურის დებულება, რომელიც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც იქნა განთავსებული.

რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საკითხს, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა 2021 წლის 28 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს „სუს“-ის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთან გააფორმა ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კუთვნილი საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემის (eFlow) არაუმეტეს 1 (ერთი) მომხმარებლისთვის შესყიდვა, თანამდევ IT კონსულტაციასთან ერთად, ხელშეკრულების დანართი N1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად.

ინტერნაციონალიზაციის განვითარება, რასაც ეხებოდა მორიგი რეკომენდაცია, „ტბელის უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. ამ მიზნით, პირველ ეტაპზე დაიგეგმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანი იყო უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა. საერთაშორისო კონფერენციის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე.

მორიგი რეკომენდაცია ეხებოდა პირის რამდენიმე განსხვავებულ პოზიციაზე დანიშნისას მისი საქმიანობის ეფექტიანობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. ექსპერტთა მხრიდან ამ სახის რეკომენდაციას ჰქონდა გარკვეული წინაპირობები, რაც გამომდინარეობდა იქედან, რომ „ტბელის უნივერსიტეტში“ ადგილი ჰქონდა ერთი ადამიანის მხრიდან რამდენიმე სტრუქტურაში მუშაობის ფაქტებს. შესაბამისად დაწესებულებამ მოახდინა პერსონალის გადაადგილებები. „ტბელის უნივერსიტეტის დებულებაში გაიწერა ამასთან დაკავშირებული კონკრეტული ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება, ან/და ცნობილი გახდება სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტი, პერსონალი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ ფაქტზე, დაუყონებლივ განაცხადოს ზემდგომ ხელმძღვანელ პირთან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტზე, თავი შეიკავოს საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისაგან მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული უფლებამოსილი პირის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის კუთხით.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ „ტბელის უნივერსიტეტში“ მმართველ ორგანოებში არჩევა/დანიშვნასთან დაკავშირებით, პირის კვალიფიკაციისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების წინასწარ განსაზღვრის შესახებ, ასევე გასაუბრების შემთხვევაში კანდიდატის ხედვისა და განვითარების გეგმების შესახებ ყურადღების გამახვილების თაობაზე რეკომენდაცია გაზიარებული იქნა. ამ მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იურიდიულ განყოფილებასთან ერთად იმსჯელა კონკრეტული მოთხოვნების დადგენაზე, რომლითაც უნდა მოხდეს მმართველ ორგანოებში ხელმძღვანელების და პერსონალის არჩევა/დანიშვნა. ამ საკითხის განხილვებში ჩართული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამსახური, რომლის კომპეტენციაშიც, დებულებით გაიწერა ადამიანური რესურსების მართვის რიგი საკითხი და სამომავლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამსახურის პერეოგატივა იქნება აღნიშნული რეკომენდაციის არათუ გათვალისწინება – თანამდებობებზე პირის შერჩევის კრიტერიუმების დაცვა, არამედ ისიც, რომ ადმინისტრაციის სამსახური მჭიდროდ ითანამშრომლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან რათა, ზოგადად უნივერსიტეტში, მენეჯერული საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნაწილი გახდეს. აღნიშნული რეკომენდაციის უფრო მეტი დეტალიზაციის მიზნით „ტბელის უნივერსიტეტის“ დებულების მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებში გაიწერა უნივერსიტეტის რექტორის, პრორექტორისა და აკადემიურ საბჭოში წევრთა არჩევა/დანიშვნის პირობები. კანდიდატის არჩევა/დანიშვნის პრინციპები დაზუსტდა და განისაზღვრა ასევე ადმინისტრაციისა და ხარისხის სამსახურის დებულებებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მე-3 სტანდარტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მორიგი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს. როგორც ცნობილია, 2019 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 69/წ ბრძანების შესაბამისად, კვალიფიკაციის ახალი ეროვნული ჩარჩოში პროგრამის სწავლის შედეგები სამ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურმა სწავლის შედეგების ახალი მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამებში 2019 წლიდანვე დაიწყო დაწესებულებამ. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით დისტანციურად გააგრძელდა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან. ამ ეტაპზე პროგრამის სწავლის შედეგები ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გასწორებულია პროგრამაში და სწავლის შედეგები არის მკაფიო და ნათელი. „ტბელის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების და თანმხლები აუცილებელი დანართების კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ინტენსიურად და აქტიურად იყო ჩართული.

### **16:40 საათზე საბჭო დატოვა აკაკი ხელაძემ.**

რაც შეეხება სტუდენტური კავშირის საკითხებს, „ტბელის უნივერსიტეტის“ საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებაში სტუდენტთა ჩართულობა მნიშვნელოვანია და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის საქმიანობაში, მაგრამ ამ მიმართულებით, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, სტუდენტთა ჩართულობის უფრო მეტი ხელშეწყობისათვის, მოქმედ სამართლებრივ აქტებში შევიდა ცვლილებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნა სტუდენტის აქტიური მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები მმართველ ორგანოებში, მაგალითად: უნივერსიტეტის დებულებაში (მუხლი 10), სადაც განსაზღვრულია ფაკულტეტის საქმიანობის წესი და პირობები, ასევე, განისაზღვრა, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცედურებში აქტიურად ჩაერთონ სტუდენტები, ფაკულტეტის საბჭომ განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე გონივრული ვადის ფარგლებში მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს, ასევე ნებისმიერ სტუდენტს მიეცეს უფლება, წარადგინოს ფაკულტეტის კომპეტენციას



მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები, მონაწილეობა მიიღოს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. საუნივერსიტეტო საქმიანობაში სტუდენტების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ცვლილება შევიდა „ხარისხის სამსახურის დებულება“-შიც (მე-5 მუხლი), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცედურებში სტუდენტთა თანამონაწილეობას ხელი შეეწყობა, ისინი წინასწარ, გონივრულ ვადაში მიიღებენ ინფორმაციას განსახილველი თუ შესასრულებელი საკითხები შესახებ, ასევე ნებისმიერ სტუდენტს მიეცა უფლება ხარისხის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, წარადგინოს წინადადებები და შენიშვნები. გარდა აღნიშნულისა „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულებაში“ შევიდა ცვლილება, სადაც სტუდენტებს მიეცათ უფლება უნივერსიტეტის ნებისმიერ მმართველ ორგანოში, მათ შორის აკადემიური საბჭოს მუშაობაშიც ჩაერთონ მათი კომპეტენციის ფარგლებში და პირდაპირი მიმართვის წესით, წარადგინონ მოსაზრებები და წინადადებები ნებისმიერი ფორმით დაესწრონ მათ მიერ წარდგენილი საკითხების განხილვას, ჩაერთონ ყველა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, ჰყავდეთ სურვილის შემთხვევაში სტრუქტურულ ერთეულებში მათი მუდმივი წარმომადგენლი.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების გარე თანამშრომლობის საკითხები, კერძოდ საერთაშორისო თანამშრომლობა „ტბელის უნივერსიტეტის“ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გარე მობილობა შემოიფარგლებოდა დონის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან (როსტოვი, რუსეთი) თანამშრომლობით, საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ „ტბელის უნივერსიტეტს“ მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ოიდიუმის უნივერსიტეტთან რუმინეთში, თუმცა ურთიერთთანამშრომლობა ჯერჯერობით მხოლოდ სამეცნიერო კონფერენციის მზადებით შემოიფარგლება, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაგეგმილი. პერსპექტივაში „ტბელის უნივერსიტეტი“ გეგმავს ამ სახით თანამშრომლობის გაგრძელებას და გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით.

მნიშვნელოვანია ასევე მე-7 სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი იყო ქონების ფლობის საკითხი, რაც უკვე მოწესრიგებული იყო დაწესებულების მიერ და დასტურდებოდა შესაბამისო დოკუმენტაციით.

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხებს, „ტბელის უნივერსიტეტის“ საჭიროებებს აფინანსებდა საქართველოს საპატრიარქო. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირება მოიცავდა მოსამზადებელ, ფორმირებისა და დამტკიცების ეტაპებს. ფინანსური რესურსების გამოყოფის პროცესი მკაფიოა და მეტნაკლებად ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმაში ხაზგასმულ პრიორიტეტებს. დანახარჯების უმეტესობა იხარჯება ხელფასებსა და საკვებზე. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციის შესახებ „თვითშეფასების ჯგუფმა“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად იმსჯელა, რის შედეგადაც 2022 წლის ბიუჯეტისათვის უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებს. ამ ეტაპზე, რამდენადაც უკვე გამოცხადებულია შემოდგომის სემესტრისათვის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, უნივერსიტეტი მობილიზებას გაუკეთებს შესაბამის თანხებს და უზრუნველყოფს აღნიშნული კონფერენციის შეუფერხებელ ჩატარებას. რაც შეეხება საკითხს ფინანსური აუდიტის შესახებ, „ტბელის უნივერსიტეტის“ ფინანსური უზრუნველყოფა სრულად მხარდაჭერილი იყო საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან, უნივერსიტეტი დაარსების დღიდან დღემდე. ხარჯვით ნაწილზე სრული და ამომწურავი ინფორმაცია, ასევე დოკუმენტალური მასალა მიეწოდება საპატრიარქოს საფინანსო განყოფილებას, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ამ მიმართულებით. გარდა გეგმიური შემოწმებისა, საჭიროების შემთხვევაში საპატრიარქო თავად

იღებს გადაწყვეტილებას გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, განმარტება, დოკუმენტაცია ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით. ამ კუთხით იყო მუდმივი კომუნიკაცია უნივერსიტეტსა და საპატრიარქოს საფინანსო განყოფილებებს შორის.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების პასუხიდან ნათლად გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოხდა საკმაოდ ბევრი ცვლილებების გატარება და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა კვლავ რჩება რიგი რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროებენ შესრულებასა და აუცილებელ ცვლილებებს.

ამასთან სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა თუ როგორ მოქმედებდა სტუდენტთა ელექტრონული სისტემა და ხდებოდა თუ არა მისი აქტიური გამოყენება. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ იყო უზრუნველყოფილი სტუდენტთა ჩართულობა მართვის ორგანოებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აბსოლუტურად ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს ჰქონდა თავისი გვერდი შესაბამის პორტალზე. შესაბამისად, როგორც სტუდენტები ასევე აკადემიური პერსონალი აქტიურად იყენებდა პორტალს და მასზე არსებულ მონაცემებს. აღნიშნული არ იყო განსაზღვრული ექსპერტთა ვიზიტის დროს, მხოლოდ იყო მოცემული ელექტრონული ჟურნალის შესახებ დოკუმენტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სტუდენტების ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა დაკავშირებით სხვადასხვა საკითხების განხილვასა და ინიცირებაში. ამასთან, სტუდენტებს ჰქონდათ მართვით ორგანოებში მონაწილეობის მიღების უფლება. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტებს ჰყავდათ თავისი წარმომადგენლები, რომლებიც იყვნენ სტუდენტების მიერ თავად არჩეული პირები და გამორჩეოდნენ აკადემიური მოსწრებითა და აქტიურობით. სტუდენტთა წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი იყო როგორც ფაკულტეტის საბჭოებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც. ყოველივე აღნიშნული ასევე გაწერილი იყო დაწესებულების შიდა რეგულაციებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ და რა ფორმით ხორციელდება სტუდენტების ჩართულობა მმართველ ორგანოებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში თვითმართველობა, როგორც სტრუქტურული ერთეული არ იყო წარმოდგენილი. არჩევითობა გულისხმობდა, რომ თავად სტუდენტები ირჩევდნენ თავიანთ წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ დააზუსტა არჩევის პროცედურა და მოთხოვნები იყო თუ არა რაიმე დოკუმენტში გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მართვის ორგანოებში სტუდენტთა მონაწილეობა გაწერილი იყო.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს საყოველთაო,

პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა იყო თუ არა კანონით განსაზღვრული მოცემული უფლება დაცული დაწესებულების მიერ.

ექსპერტმა საკითხთან დაკავშირებით განმარტა, უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად, ზოგადად ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისა და მიღების პროცედურაში სტუდენტების იყვნენ ჩართულნი. თუმცა არ იყო დაკონკრეტებული არანაირი ფორმით თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების შერჩევა და დაკომპლექტება წარმომადგენლების სახით.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:49 საათი**  
**საბჭოს სხდომა განახლდა: 17:55 საათი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მ ო მ ხ რ ე :

1 2

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-21 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

**17:57 საათზე საბჭო დატოვა მორის შალიკაშვილმა.**

**4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (COM Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

• არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის შედეგების განხილვისას საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა 60 დღის ვადა. რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტების მხოლოდ 4.1 და 4.2 კომპონენტები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განხორციელდა რეკომენდაციების სრულად შესრულება და წარმოდგენილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით გაძლიერებისთვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, დადგინდა რომ დაწესებულების მიერ მოხდა თითოეული რეკომენდაციის შესრულება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება კვლავ გააგრძელებდა მუშაობას პროგრამის განვითარების მიზნებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:00 საათი**  
**საბჭოს სხდომა განახლდა: 18:04 საათი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**

### **გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-25 პუნქტის საფუძველზე, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

### **5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (COM Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთანმიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგის შედეგად საბჭოს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება. კერძოდ დაწესებულებას დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა 60 დღის ვადა. რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტების მხოლოდ 4.1 და 4.2 კომპონენტები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განხორციელდა რეკომენდაციების სრულად შესრულება და წარმოდგენილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, ასევე საერთაშორისო ურთიერთობის კუთხით გაძლიერებისთვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, დადგინდა რომ დაწესებულების მიერ მოხდა თითოეული რეკომენდაციის შესრულება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება კვლავ გააგრძელებდა მუშაობას პროგრამის განვითარების მიზნებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:00 საათი**  
**საბჭოს სხდომა განახლდა: 18:04 საათი**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**

მ ო მ ხ რ ე :

1 1

წინააღმდეგი: 0


**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-25 პუნქტის საფუძველზე, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 2022 წლის 4 თებერვალს, 18:05 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

